სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

10 ივლისი 2024

N 353/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ცაგერის, ტყიბულისა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტებში, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ 500 კვ ძაბვის ერთჯაჭვა საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის „ლაჯანური-წყალტუბოს“ გაყვანაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლისა და ამავე კოდექსის I დანართის 28-ე პუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს, ცაგერის, ტყიბულისა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტებში, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ 500 კვ ძაბვის ერთჯაჭვა საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის „ლაჯანური-წყალტუბოს“ გაყვანაზე სკოპინგის დასკვნა N40;
2. სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ ვალდებულია გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს N40 სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“ და სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მიერ, ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკოპინგის დასკვნის გაცემიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე, ასევე ცაგერის, ტყიბულისა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტების აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოების საინფორმაციო დაფებზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი N64) მხარის მიერ, მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ვასილ გედევანიშვილი

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/353-21-4-202407101729